www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 19 აგვისტო, 2009 წელი. №183 (2221) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## რუსეთმა ყველაზე იაფი ენერგია დაკარგა

A4



## წიგნის ხანის დასასრული?

A5




## მიზანი და პერსპექტივები

A6



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# რამ გააჩინა ასეთი "ზღოვრება"

ზაზა ფაჩუაშვილი



ეს ამბავი რომ ჩემმა მეეზოვე მეზობელმა ლეილამ იცოდეს, თავისი ახმახი ბიჭის ქორწილს ნამდვილად გადადებდა და ყვითელჟილეტიანი კოლეგებით თბილისის ზღვაზე ავიდოდა, ოღონდ - საცურაო კოსტიუმების გარეშე და მწვანე გორგოლაჭებიანი კონტეინერით. ჯერ აუცილებლად იტყოდა: "ვაიმე, ვაიმე, ეს რა ხდება, მარჯვენა გაუხმა, ვინც ბოთლები წყალში ყრის"-ო და საქმესაც შეუდგებოდა.

მთავარი პლაჟის გვერდით, თუ შეიძლება ასე ითქვას, სათადარიგო პლაჟის ნაპირზე, სადაც ბევრი დამსვენებელი ოჯახებითურთ ბანაობს, პლასტმასის ნაგვის მრავალფეროვანი ჭაობი ტორტმანებს. გარუჯული ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ბავშვები თბილისის ზღვის გარდა ვერსად გაუყვანიათ, ნამდვილად შეგვეცოდებოდნენ, იმ პლასტმასის ტარას შიგთავსი მათივე მუცლებში რომ არ ჩასულიყო. თუ სავსე ჭურჭლის თრევა პრობლემას არ წარმოადგენს, ცარიელის წამოღებას და სანაგვეში ჩაყრას რაღა უდგას წინ, მაგრამ, როგორც ჩანს, ფიზიკური დატვირთვა აქ არაფერ შუაშია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართული პენიტენციური სისტემა და მსოფლიო სტანდარტები

ხათუნა ჭანგირაშვილი



*ქვეყნის პარლამენტი სექტემბრიდან "პატიმრობის კოდექსის" განხილვას კვლავ დაუბრუნდება. საუბარია საკანონმდებლო პროექტზე, რომელიც ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში, 2007 წელს იყო ინიცირებული და პატიმრების მოვალეობებთან ერთად, მათ უფლებებსაც განსაზღვრავს. "პატიმრობის კოდექსის" ამოქმედება 2010 წლიდან იგეგმება.*

კანონმდებლები პროექტს რევოლუციურს უწოდებენ და მის დადებით მხარეებზე საუბრისას რამდენიმე ნოვაციას გამოყოფენ. კოდექსის თანახმად, ახლებურად ყალიბდება ე.წ. უდოს - პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხები. პროექტი ასევე ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის პატიმრებისთვის ე.წ. შვებულებების უფლების მინიჭებას. მსჯავრდებულს 5-დღიანი შვებულების მიღების შანსი ეძლევა, თუ, რა თქმა უნდა, საკუთარი საქციელით დაიმსახურებს, რაც ციხის ადმინისტრაციის შესაფასებელია.

გაგრძელება A2 გვერდზე

### პროექტი "ინტელექტუალური საკუთრება"

თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და "ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს" ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით,

პროექტი სახელწოდებით "ინტელექტუალური საკუთრება" საგანმანათლებლო ხასიათისაა, იგი საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარებას შეეხება და ოთხი თვის მანძილზე გაგრძელდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული შეხვედრა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი შავლიაშვილმა გახსნა. შავლიაშვილის განცხადებით, ერთობლივი პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მომავალი იურისტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და პრაქტიკული ცოდნის შეძენას. ჩეხი სტუდენტებისთვის, რომლებიც "საქართველოში ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს" მოწვევით იმყოფებიან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის თავმჯდომარემ ირაკლი ადეიშვილმა ინტელექტუალური საკუთრების თემაზე ლექცია წაიკითხა. ლექციის შემდეგ დისკუსია გაიმართა, რომელზეც ქართული თუ უცხოური სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება განიხილეს და შეაფასეს. შეხვედრის დასასრულს ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის წევრებისათვის სასამართლოს შენობაში სპეციალური საექსკურსიო ტური მოეწყო.

*საკუთარი ინფორმაცია*

### გიორგი არსენიშვილის და გიორგი ტუღუშის ერთობლივი ვიზიტი

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსენიშვილი და არჩეული სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში გუშინ ლაგოდეხის რაიონს ეწვევნენ. შეხვედრა "სახალხო დიალოგის" ფარგლებში ჩატარდა. გიორგი არსენიშვილმა სოფლის რწმუნებულებთან კონკრეტულ პრობლემებზე დიალოგი გამართა. სახალხო დამცველ კი, რომელიც მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად 17 სექტემბრიდან შეუდგება, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

*პირველი*

### გაძარცვეს ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველო

დაუდგენელმა პირებმა ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველო გაძარცვეს. სამართალდამცველების ინფორმაციით, სამმართველოდან წაღებულია ორი კომპიუტერის მონიტორი, მესამე კი, წასაღებად იყო გამზადებული.

სავარაუდოდ, მძარცველები შენობაში ღია ფანჯარიდან გადავიდნენ.

მომხდართან დაკავშირებით დაიკითხნენ სამინისტროს თანამშრომლები.

*ინტერპრესნიუსი*

### "მემარჯვენე" ედიშერ ჯობავა გათავისუფლებულია

არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემული დაკავებული ოპოზიციონერების სიის ერთი წევრი - "ახალი მემარჯვენეების" ხობის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენელი ედიშერ ჯობავა გათავისუფლებულია.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, ჯობავა 2 ათასი ლარის ოდენობის გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

"ჯობავა სამეგრელოში სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა. მას საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენეს - იარაღის უკანონო ტარება და ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯობავას აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა, სააპელაციო სასამართლომ კი გირაოთი გაათავისუფლა, თუმცა გამოძიება გრძელდება. მინდა იმედი ვიქონიო, რომ სხვა დაკავებულებსაც გაათავისუფლებენ და ეს იქნება პირველი სიგნალი ხელისუფლების მხრიდან, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება," - თქვა ჩიხრაძემ.

*პირველი*

# ქართული პენიტენციური სისტემა და მსოფლიო სტანდარტები

პირველი გვერდიდან

ნოვაციურია ასევე პატიმრის ადმინისტრაციულ სანქციებთან დაკავშირებული საკითხებიც. კერძოდ, როცა პატიმარი, ციხის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შინაგანაწესის დარღვევის გამო კარცერში გადავა, მას ენიჭება უფლებამოსილება, ადვოკატის მეშვეობით ციხის ადმინისტრაციის წინაშე საკუთარი უფლებები დაიცვას. ამასთან, არამკაცრი რეჟიმის საპყრობილეებში მყოფი პატიმრების გარდა, სხვა მსჯავრდებულებსაც შეუძლიათ, საკნებში ჰქონდეთ რადიო და ტელევიზორი.

გარდა ამისა, "პატიმრობის კოდექსის" პროექტით, ფართოვდება იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც პატიმართან პაემნის ნებართვა მიეცემათ. პროექტის მიხედვით, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შესაძლოა, მისთვის სასურველ ნებისმიერ პირთან ხანმოკლე პაემანის უფლება მიეცეს. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე ციხის დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი პატიმარს წერილობითვე წარედგინება. პატიმარს თვეში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემანის უფლება მიეცემა, რომელიც, შესაძლოა, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე შეეზღუდოს.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ციხეებში ხანგრძლივვადიანი პაემანების ამოქმედებას, თუმცა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ცოტა ხნის წინ, პატიმრობის კოდექსის პროექტიდან ამ მუხლის ამოღება მოითხოვა. მისი განმარტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემანებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო უახლოესი წლების განმავლობაში აღნიშნული მუხლი "მკვდარი" იქნება.

პროექტის თანახმად, ნახევრადდახურულ და ღია ტიპის საპატიმრო დაწესებულებებში პატიმრები მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ქცევის მიხედვით გადანაწილდებიან. სამუდამო პატიმრობამისჯილი მსჯავრდებული ღია ტიპის საპატიმროში ვერასოდეს მოხვდება, ისევე, როგორც ქალები და არასრულწლოვნები - დახურული ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში არ განთავსდებიან.

## ციხის მსოფლიო სტანდარტები

ციხის მსოფლიო სტანდარტებით დადგენილია "მსჯავრდებულებთან მოქცევის მინიმალური სტანდარტული წესები", რომელიც 1985 წელს გაერო-ს კონგრესმა მიიღო. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს, მაგალითად, როგორ უნდა იყოს მოწყობილი საკანი ან რა რაოდენობის კალორიას უნდა შეიცავდეს საკვები.

გაერო-ს სტანდარტული წესების მიხედვით, ციხეში იკრძალება ყველა სახის დისკრიმინაცია, მსჯავრდებული ქალები და კაცები, განსასჯელები და მსჯავრდებულები, მცირეწლოვანნი და სრულწლოვნები, ჩვეულებრივი კრიმინალები და რეციდივისტები უნდა იმყოფებოდნენ სხვადასხვა კატეგორიის საპატიმროებში. მსჯავრდებული უნდა მოთავსდეს ცალკე საკანში, ან საერთო საკანში მას ეკუთვნის ცალკე საწოლი. საპატიმროში სანიტარული ნორმები მკაცრად უნდა იყოს დაცული. საკანი სავენტილაციო სისტემით მუდმივად უნდა ნიავდებოდეს და იმ დონეზე უნდა იყოს განათებული, რომ ზიანი არ მიადგეს პატიმრის მხედველობას. ამავე სტანდარტებით, ციხის ტუალეტი დღეში რამდენჯერმე უნდა იწმინდებოდეს და პატიმრებს არ უნდა უწევდეთ რიგში დგომა. მსჯავრდებულები უნდა ბანაობდნენ მინიმუმ კვირაში ერთხელ, ხოლო მამაკაცები რეგულარულად იცავდნენ პირად ჰიგიენას.

მსჯავრდებულები ყოველდღიურად ერთი საათის მანძილზე სუფთა ჰაერზე უნდა სეირნობდნენ ან ფიზიკურად ვარჯიშობდნენ. გაერო-ს რეკომენდაციით, არასრულწლოვან პატიმრებს უფლება აქვთ ითამაშონ. ყველა საპატიმროში უნდა იყოს ექიმი და სტომატოლოგი.

ამავე სტანდარტებით, მსჯავრდებულს მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. უნდა ღებულობდეს ინფორმაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. საპატიმროებში უნდა იყოს ბიბლიოთეკა. პატიმრები უნდა დასაქმდნენ და მათი შრომის ანაზღაურება აუცილებელია.

გაერო-ს სტანდარტები საპატიმროებში კრძალავს სასტიკ მოპყრობას, დამცირებას, დასჯას წამების მეთოდებით. საერთო ჯამში, გაერო-ს რეკომენდაციით, ციხის რეჟიმი თავისუფალი ცხოვრების წესისგან მცირედ უნდა განსხვავდებოდეს, რათა **"პატიმრებში არ მოკვდეს პასუხისმგებლობისა და ადამიანური ღირსების გრძნობა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა პენიტენციური სისტემიდან - მონანიების ადგილიდან, საზოგადოებას სრულფასოვან წევრად დაუბრუნდნენ".**

გარდა გაერო-ს სტანდარტებისა, არსებობს ევროსაბჭოს რეკომენდაციებიც, რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდება გაერო-ს სტანდარტებისგან. მაგალითად, ევროსაბჭოს რეკომენდაციით, დასაშვებია პატიმრის შვებულება. ევროპული წესებით, პატიმარს, რომელიც ციხეში დასაქმებულია, ეკუთვნის დასვენება - კვირაში მინიმუმ ერთი დღე.

# "გაძვირებული" ერთლარიანი აგარაკი

*თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სარჩელი. საუბარია სიმბოლურ ფასად, 1 ლარად შეძენილ წყნეთის აგარაკზე, რომელიც სასამართლო დავის საგანი გახდა. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი ფინანსთა სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა, რომლითაც მას შესაბამისი დეკლარაციის დროულად არწარმოდგენისა და ქონების გადასახადის გადაუხდელობის გამო, მილიონნახევარი ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.*

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად არ გამოცხადდა, მოპასუხე მხარის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აქტები, რის საფუძველზეც ნინო ბურჯანაძეს დაეკისრა 1 251 487,6 ლარის გადახდა.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში განმარტავენ, საქმის განხილვისას დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 8 მაისის განკარგულებით, ნინო ბურჯანაძეს სიმბოლურ ფასად (1 ლარად) მიეყიდა დაბა წყნეთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 12 109 997 ლარის ღირებულების სააგარაკე სახლი, მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ შეისყიდა უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად და მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჰქონდა ვალდებულება, საგადასახადო ორგანოებში წარედგინა წლიური დეკლარაცია. გარდა ამისა, კანონის თანახმად, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს 2009 წლის 1 აპრილამდე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საშემოსავლო და სხვა გადასახადები უნდა გადაეხადა, რაც არ შეუსრულებია.

იმის გამო, რომ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა სრულად და დროულად არ შეასრულა კანონით დაკისრებული ვალდებულებები, რაც მას ეკისრებოდა 2009 წლის 21 აპრილის და 2009 წლის 11 მაისის საგადასახადო მოთხოვნებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 1 251 487,6 ლარის (მათ შორის ძირითადი 1 233 360 ლარი, საურავი 18 127,66 ლარი) გადახდა.

**"სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების არსებითად გამოკვლევისა და წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად, კანონიერად იქნა ცნობილი ნინო ბურჯანაძისთვის თანხის დაკისრების შესახებ მიღებული სადავო აქტები და მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო,"** - ასეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ძირითადი ფორმულირება. ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება 14 დღის ვადაშია შესაძლებელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში, ერთდროულად, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ორი სარჩელი განიხილებოდა. ცოტა ხნის წინ, სასამართლოს ადმინისტრაციულ სამეთა პალატამ ასევე არ დააკმაყოფილა "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერის მეორე სარჩელიც, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 იანვრის განკარგულებას ეხებოდა და რომლის საფუძველზეც, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს სახელმწიფო დაცვაზე უარი ეთქვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ნინო ბურჯანაძის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ბათილად ცნობისა და მისთვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

**"ყოფილი თანამდებობის პირებისთვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნის საკითხები დარეგულირებულია სპეციალური კანონით - "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ", რომლითაც აღნიშნული პირებისათვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა,"** - ასეთი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის არგუმენტი.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "მესამე ზედმეტია"

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ 14 აგვისტოს აფხაზ ხალხს ენგურის ხიდიდან მიმართა და ქართველებთან შერიგებისა და გაერთიანებისკენ მოუწოდა. ამ მიმართვას სოხუმის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, გიორგი ბარამიას მოწოდების ნაწილი აფხაზური მხარისთვის სავსებით მისაღებია.

**"ჩვენ მოვისმინეთ ეს მიმართვა და სრულად ვეთანხმებით მიმართვის იმ ნაწილს, სადაც ბარამია ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნდობის აღდგენაზე საუბრობს. რა თქმა უნდა, ეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის სასურველია და ნდობის აღდგენას ჩვენც ვუჭერთ მხარს",** - განაცხადა შამბამ.

თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ ბარამიას მიმართვის დანარჩენი ნაწილი მისთვის და აფხაზი ხალხისთვის მიუღებელია და თუ თავის მოთხოვნებზე ქართული მხარე უარს არ იტყვის, ვერც ნდობის აღდგენა მოხერხდება.

**"ასევე არ არის საჭირო ჩადენილი დანაშაულის მესამე მხარეზე, ანუ რუსეთზე გადაბრალება. რა შუაშია რუსეთი, როცა ქართული ტანკები შემოვიდნენ აფხაზეთში და ქართველები კლავდნენ აფხაზებს,"** - არც რუსეთის ადვოკატობა დაივიწყა შამბამ.

შამბასა და ბარამიას შორის "აზრთა გაცვლა-გამოცვლა" გუშინაც გაგრძელდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სოხუმის რეჟიმის საგარეო საქმეთა უწყება ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობას მიესალმება. თუმცა, ბარამიაც, შამბას მსგავსად, გარკვეულ "დაზუსტებებს" აკეთებს.

**"სასურველია, შამბა უფრო კონსტრუქციული იყოს, როცა ერთიანობაზე საუბრობს. ხოლო როცა ლაპარაკია მესამე ძალის, ანუ რუსეთის როლზე, მას, როგორც ისტორიკოსს, კარგად უნდა ახსოვდეს რუსეთის სცეპსამსახურების მონაწილეობა 1990-იან წლებში აფხაზეთში სეპარატისტული პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესში, რომლის მიზანი ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნიკური შუღლის გაღვივება იყო",** - აღნიშნა გიორგი ბარამიამ.

მისი აზრით, 1992 წელს აფხაზეთში ქართული საჯარისო ნაწილების შესვლა უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბასთან იყო შეთანხმებული და პირველი შეიარაღებული დაპირისპირება ოჩამჩირესთან სწორედ აფხაზური მხარის პროვოცირებით მოხდა.

ბარამია იტოვებს იმედს, რომ სერგეი შამბა სწორად შეაფასებს აფხაზეთში შექმნილ ვითარებას და იმ საფრთხეს, რომელიც აფხაზ ხალხს რუსეთიდან ემუქრება.

**"აფხაზი ხალხი უკვე დაუპირისპირდა რუს ოკუპანტებს. გახშირდა ადამიანის უფლებების დარღვევები. ხალხმა დაინახა, რომ რუსეთისგან არა ხსნას, არამედ განადგურებას უნდა ელოდეს",** - მიიჩნევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და იქვე შენიშნავს, რომ პირდაპირი დიალოგის შესახებ შეთავაზება ძალაში რჩება.

**"ამ შეთავაზებაზე აფხაზური მხარის რეაქციას გალის შეხვედრაზე გავიგებთ. თუმცა, ვიდრე მოლაპარაკების მაგიდასთან რუსული მხარე იქნება, არანაირი პირდაპირი დიალოგი არ გამოვა",** - მესამე ძალის დესტრუქციულ როლს ხაზს უსვამს გიორგი ბარამია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# რამ გააჩინა ასეთი "ზღოვრება"

პირველი გვერდიდან

ჩვენ ავარიული კორპუსის ბინადრები ყოველდღე ვხედავთ, თუ რა ცხადია ნაირფერ პარკის ფანჯრიდან ფრენა და ასფალტზე დაპერტყება. ყოველ სამ დღეში ერთხელ კი, ჩვენი ქალაქის მეეზოვეთა ბრიგადის ხმაური გვაღვიძებს: "ვაიმე, ვაიმე, ეს რა ხდება".

ბინები ყველას დაწკრიალებული გვაქვს, სადარბაზოებში კი ბავშვებს უფროსების გარეშე არ ვუშვებთ, რომ ხელი არაფერს მოკიდონ, ლიფტის მიფურთხებულ კედელს არ მოეყრდნონ და ნაგვის ბუნკერთან არ გაიარონ. ეზოებს, მადლობა ღმერთს, რამდენიმე დღეში ერთხელ მაინც გვიან და ასუფთავებენ. ყველას გვსიამოვნებს იმ დღეს კორპუსიდან გამოსვლა, მაგრამ სახლში ვბრუნდებით თუ არა, ისევ იწყება ნაირფერ პარკის ფანჯრიდან ფრენა. მერე ყველგან იგივე ნაგავ-კვალს ვტოვებთ, სადაც მივდივართ, მათ შორის ზღვაზეც.

ერთმა კაცმა მთავარი პლაჟისკენ მიგვითითა, იქით იბანავეთ ბიჭებო, უფრო სისუფთავეაო. ცხადია, იქითაც ჩვენი ხალხი დადის თავისი პლასტმასის ჭურჭლით, მაგრამ იქ ასუფთავებენ. ბოლოს და ბოლოს, ერთი ჟანგიანი ბადის ღობე ჰყოფს პლაჟს დანარჩენი ნაპირისგან. არ უნდა იყოს დაუძლეველი ბარიერი და იქნებ, როგორც ჩვენს მშობლიურ კორპუსებთან, კვირაში ერთხელ მაინც დაგვისუფთაონ ნაპირი. ერთი თველა დარჩა სეზონის ბოლომდე.

თემქიდან როგორც კი ზღვისკენ გადავუხვევთ, დიდი აბრაა, რომელსაც აწერია თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის ტელეფონები. ჰოდა, სწორედ იმ დასუფთავების სამსახურს ვთხოვთ, ჯიბრში ნუ ჩაგვიდგება. ჩვენ ერთი უპასუხისმგებლო მოქალაქეები ვართ და, იქნებ, დასუფთავებულის დანაგვიანებისა მაინც შეგვრცხვეს.

# სტანისლავ ლაკობა თანამდებობას ტოვებს

სააგენტო "აპსნიპრესის" ცნობით, სოხუმის მარიონეტული რეჟიმის დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ გუშინ თანამდებობა დატოვა. **"პრეზიდენტის ადმინისტრაციის კანცელარიაში დავტოვე განცხადება იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭოს მდივნის უფლებამოსილებას ვიხსნი",** - განაცხადა მან.

ლაკობას თქმით, მისი გადაწყვეტილება **"აფხაზეთში განვითარებულ ბოლო მოვლენებს, კერძოდ, აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს და სხვა საკითხებს უკავშირდება".** დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს აწ უკვე ყოფილი მდივანი ასევე განმარტავს, რომ მან თანამდებობის დატოვება **"დიდი ხნის წინ გადაწყვიტა, თუმცა მისი განხორციელება სოხუმში რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ჩასვლამდე გადადო".**

თავისი გადადგომის მიზეზებზე დეტალურ საუბარს ლაკობა მას შემდეგ აპირებს, როცა მის გადადგომასთან დაკავშირებით "საზოგადოებაში ვნებათაღელვა ჩაცხრება".

აფხაზი ექსპერტების ვარაუდით, სტანისლავ ლაკობას თანადებობიდან გადადგომა, შესაძლოა, მის მიერ **"რესპუბლიკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის თანადებობაზე კენჭისყრას უკავშირდებოდეს"** (როგორც ცნობილია, აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის დეკემბერშია დაგეგმილი, "პრეზიდენტობის" კანდიდატებად კი, ჯერჯერობით, სერგეი ბაგაფში, რაულ ხაჯიმბა და რამდენიმე ოპოზიციონერი სახელდება).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გია გვაზავას აზრით, სტანისლავ ლაკობას თანამდებობიდან წასვლა, შესაძლოა, კავშირში იყოს გალში აფხაზური პასპორტების დარიგებასთან.

**"ლაკობა ულტრანაციონალისტია. მას მიაჩნია, რომ გალის რაიონიდან და, საერთოდ, აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობა უნდა წავიდეს, ნაცვლად იმისა, რომ მათ აფხაზური პასპორტები ურიგდებოდეთ. არ არის გამორიცხული, სწორედ ამან განაპირობა თანამდებობიდან მისი წასვლა. თუმცა, შესაძლოა, ამას სხვა, უფრო სიღრმისეულ მიზეზები გააჩნდეს,"** - განაცხადა გვაზავამ.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე კი სტანისლავ ლაკობას თანამდებობიდან წასვლას **"მის მიერ პასუხისმგებლობის მოხსნის მცდელობას"** უკავშირებს. როგორც არეშიძე აცხადებს, **"ლაკობას გადადგომა იმის მანიშნებელია, რომ იგი ხვდება, თუ რა დღეშია აფხაზეთი და აფხაზი ერი".**

რაც შეეხება ლაკობას გადადგომის ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად გალში მიმდინარე პასპორტიზაციის პროცესის დასახელებას, ქართველი ექსპერტის აზრით, **"ეს მხოლოდ ზედაპირული მიზეზია".**

გუშინ გამოთქმული კიდევ ერთი ვარაუდის თანახმად კი, ლაკობას არ მოსწონს ის, რომ რუსეთი ეტაპობრივად ახდენს აფხაზეთის ოკუპაციას.

აღსანიშნავია, რომ სტანისლავ ლაკობამ გადადგომის შესახებ განცხადება 2005 წელსაც დაწერა, თუმცა მაშინ სერგეი ბაგაფშმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# დსთ წარსულს ჩაბარდა

ნათია მსხილაძე

*საქართველომ ერთწლიანი ფორმალური პროცედურის შემდეგ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა საბოლოოდ დატოვა. დსთ-დან გამოსვლის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა სააკაშვილმა გასული წლის 12 აგვისტოს მიიღო. დსთ-ს დატოვების მიუხედავად, საქართველო კვლავ რჩება ორგანიზაციის ფორმატში გაფორმებული 75 მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე, მათ შორის უვიზო მიმოსვლისა და თავისუფალი ვაჭრობის სფეროებში.*

1993 წლის დეკემბერში საქართველო იყო უკანასკნელი ქვეყანა, რომელმაც გადაწყვიტა შეერთებოდა დსთ-ს და პირველი, რომელმაც დატოვა ორგანიზაცია, რომელშიც ამჟამად თერთმეტი ყოფილი საბჭოთა ქვეყანა რჩება.

2008 წლის 18 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტს ნოტით აცნობა საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებებისა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ. დსთ-ს წესდების მე-9 მუხლის თანახმად, დსთ-ს წევრობის შეწყვეტა ხდება წერილობითი შეტყობინების დღიდან 12 თვეში. შესაბამისად, 2009 წლის 18 აგვისტოსათვის დასრულდა დსთ-დან საქართველოს გამოსვლის ფორმალური პროცედურა. **"2008 წლის აგვისტოში დსთ-ს მონაწილე სახელმწიფომ - რუსეთმა დსთ-ს მონაწილე მეორე სახელმწიფოს - საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა სამხედრო აგრესია, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილების ოკუპაცია, ეთნიკური წმენდა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მის მიერვე შექმნილი მარიონეტული რეჟიმების ე.წ. "დამოუკიდებლობის" აღიარება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აფხაზეთში, საქართველო დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების საფარქვეშ მოქმედი რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის მომზადებასა და განხორციელებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ. ამავე დროს, "სახელშეკრულებო სამართლის შესახებ" ვენის 1969 წლის კონვენციის შესაბამისად, საქართველოსათვის ძალაში რჩება დსთ-ს ფარგლებში დადებული ის საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებში მონაწილეობაც არ არის შეზღუდული დსთ-ს წევრობით (სულ 75 ხელშეკრულება). მათ შორის შეთანხმება დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ, შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ, კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ და ა.შ. საქართველო ადასტურებს თავის მზადყოფნას განავითაროს დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობები მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ქართველ ექსპერტთა შეფასებით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლით საქართველოს არაფერი დაუკარგავს, თუმცა გაერთიანებაში ყოფნას გარკვეული პოზიტიური მხარეებიც ჰქონდა. **"დსთ პრაქტიკულად არაეფექტური იყო. ის, რაც წესით და კანონით გაერთიანებას წევრი სახელმწიფოსთვის ქვეყნის სუვერენტიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ხელშეწყობის კუთხით უნდა გაეკეთებინა, არ კეთდებოდა. თუმცა ძნელია ამტკიცო, რომ დსთ-ში ყოფნას პოზიტიური მხარეები არ ჰქონია. მისი ყველა წევრი სახელმწიფო მძიმე წარსულიდან მოდიოდა და ტრანსფორმაციას გადიოდა. ამიტომ, ქვეყნებს შორის არსებული კონტაქტები პოზიტიურად შეიძლებოდა გამოყენებულიყო, თუმცა რუსეთთან პირდაპირმა სამხედრო კონფრონტაციამ ეს შეუძლებელი გახადა. დსთ-დან გასვლის გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, იძულებითი იყო. რომ არა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, საქართველოს ამ გაერთიანებიდან გასვლის სხვა მოტივები გარკვეული ხნის მანძილზე არ ექნებოდა,** - განაცხადა საგარეო საკითხებში ექსპერტმა ირაკლი მენაღარიშვილმა .

## ორი სიტყვით

### უმრავლესობის ლიდერები სოფელ ხაიშის პრობლემებს გაეცნენ

"სახალხო დიალოგის" ფორმატში ცისკარიშვილისა და ხაჩიძის შეხვედრა ხაიშის მოსახლეობასთან რამდენიმე საათს გაგრძელდა. ხაიშის მოსახლეობასთან შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. "საკმაოდ მძიმე, მაგრამ საქმიანი შეხვედრა გვქონდა. მოსახლეობასთან ერთად პრაქტიკული გამოსავალი მოვძებნეთ. ხაიშში პრობლემები აქვთ ტყესთან დაკავშირებით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოსახლეობა იყოს კმაყოფილი და ამავდროულად ტყე იყოს დაცული და შენარჩუნებული," - განაცხადა ხაჩიძემ. ცისკარიშვილის განცხადებით, მოსახლეობასთან შეხვედრისას კონკრეტული გეგმები დაისახა, რომლებიც უახლოეს მომავალში განხორციელდება. "ძალიან საინტერესო პროექტზე ვისაუბრეთ, რომელიც ახალი გზის გაყვანას უკავშირდება, იმ სავარგულამდე, სადამდეც შეიძლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანა," - განაცხადა ცისკარიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დღეს გიორგი ჭანტურიას 50 წელი შეუსრულდებოდა

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, 1981-1994 წლებში "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარე გიორგი ჭანტურიას დღეს 50 წელი შეუსრულდებოდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წევრები დღის 3 საათზე ქაშუეთის ეკლესიის ეზოში, გია ჭანტურიას საფლავთან შეიკრიბებიან, სადაც გია ჭანტურიას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდება. იუბილესთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით გია ჭანტურიას წიგნის პრეზენტაცია მზადდება, სადაც მისი მოთხრობები და ნოველები იქნება წარმოდგენილი. გია ჭანტურია 1994 წლის 3 დეკემბერს თავისი სახლის სადარბაზოსთან მანქანაში ჩაცხრილეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აფხაზეთიდან დევნილი 11 ბავშვი ხვალ საბერძნეთში გაემგზავრება

აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში საერთაშორისო ბანაკში 10 დღე დაისვენებენ, გაეცნობიან ბერძნულ კულტურას და დაათვალიერებენ ღირსშესანიშნაობებს. ბავშვები საერთაშორისო ბანაკში, სადაც ათამდე ქვეყანაა წარმოდგენილი 6 სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს გამართავედა სპორტულ შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას. ბავშვებს დღეს ორთაჭალის ავტოსადგურიდან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ათენში პირადად გააცილებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რუსეთმა ყველაზე იაფი ენერგია დაკარგა

## დაშავებულთა გადარჩენის იმედი ჯერ კიდევ არსებობს


AFP © 2009

ციმბირში საიანო-შუშენსკის ჰიდროელექტროსადგურზე ორშაბათს მომხდარი ავარიის შემდეგ ადგილზე მყოფი თანამშრომლების გადარჩენის იმედს ჯერ კიდევ არ კარგავს სადგურის ყოფილი გენერალური დირექტორი და სააქციო საზოგადოება "რუსგიდროს" მმართველი საბჭოს წევრი ალექსანდრ ტოლოშინოვი. მისი თქმით, ხალხი შესაძლოა ე.წ. "საჰაერო ბუშტში" მოჰყვა ანუ წყლის დონის ქვეშ აგრეგატის დარბაზის მშრალ ადგილზე, სადაც მოხდა სწორედ ავარია. უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა 64 პირი, თუმცა ოფიციალურ სიაში მხოლოდ 63 ადამიანის გვარი ირიცხება. ტოლოშინოვის თქმით, საბოლოო დასკვნების გაკეთება მანამდე შეუძლებელია, ვიდრე სრულად არ მოხდება ავარიული ადგილის დათვალიერება და შესაბამისი საძიებო სამუშაოების დასრულება. ჯერჯერობით კი შედგენილია მხოლოდ სპეციალური რუკები იმ უბნებისა, სადაც შეეძლო სადგურის თანამშრომლებს თავის შეფარება.

საიანო-შუშენსკის ჰიდროელექტროსადგურის მეორე ჰიდროაგრეგატზე ავარია 17 აგვისტოს ადგილობრივი დროით 08:13 საათზე მოხდა. ალექსანდრ ტოლოშინოვის თქმით, ავარიის მიზეზი არ შეიძლება ყოფილიყო ჰიდრავლიკური დარტყმა. თუმცა, ხელსაწყოებით ეს ვერსია არ დასტურდება. "რუსგიდროს" წარმომადგენელთა აზრით, ავარიის ძირითად ვერსიად მაინც ტურბინების წყობიდან გამოსვლა, კერძოდ კი, ტურბინების სახურავების აფეთქება რჩება. არ არის გამორიცხული აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურზე ტერაქტის ვერსიაც. თუმცა, ტრაგედიის მიზეზებზე დარწმუნებით საუბარი მხოლოდ დეტალური ძიების ჩატარების ანუ მოწყობილობის დარბაზიდან წყლის ამოქაჩვის შემდეგ იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ "ფეეს-ბე-ს" სპეციალისტებმა, რომლებიც ასაფეთქებელ მოწყობილობებზე მუშაობენ, ავარიის ადგილზე ვერ აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი.

ოფიციალურად დადასტურებულია 12 პირის დაღუპვა. კომპანია "რუსგიდრო" დაღუპულთა ოჯახებს კომპენსაციის გადახდას დაპირდა ერთი მლიონი რუბლის ოდენობით და დამატებით 38 ათასი რუბლის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების დაფარვას. დაშავებულები კი ხელფასის ორმაგი ოდენობის თანხას მიიღებენ კომპენსაციის სახით.

ამჟამად ჰიდროელექტროსადგურის მუშაობა დროებით შეჩერებულია, ხოლო მდ. ენისეის მახლობლად დასახლებულ პუნქტებს, გავრცელებული ინფორმაციით, საფრთხე არ ემუქრებათ. თუმცა, ეკოლოგები შიშობენ, რომ მდ. ენისეის აკვატორიის სახიფათოდ დაბინძურება მაინც მოხდება, რაც შემდგომში პრობლემატურ საკითხად იქცევა. სამაშველო ოპერაციის განსახორციელებლად ციმბირის ყველა რეგიონიდან მობილიზებულია მაშველთა ჯგუფები. "ინტერფაქსის" თანახმად, ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულია 638 ადამიანი და 85 ერთეული ტექნიკა.

# ნაზრანის ტერაქტს მოსკოვი უპასუხოდ არ დატოვებს

## "პასუხი" შეიძლება ახალი დაძაბულობის საფუძველი გახდეს

ივა შილაკაძე

ორშაბათს ინგუშეთში ნაზრანის მილიციის ეზოში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულებისა და დაშავებულების რაოდენობა გუშინ დაზუსტდა. სამწუხაროდ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათი რიცხვი გაიზარდა. ბოლო მონაცემებით, დაღუპულია ოცდაერთი ადამიანი (ერთი დაჭრილი ღამე გარდაიცვალა). დაღუპულებიდან ამოცნობილია 10 პირი, დანარჩენი 11 კაცის იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ გენეტიკური ექსპერტიზის შემდეგ, რადგან მათი ცხედრები ძლიერ დამწვარია. სხვადასხვა მონაცემებით, უკვალოდ დაკარგულად მიიჩნევა 7-9 კაცი. ესენი ძირითადად შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილების ის თანამშრომლები არიან, რომლებიც შენობის ნანგრევებში ჯერ ვერ აღმოაჩინეს. მათი ცოცხლად პოვნის იმედი თითქმის აღარ არის. დაშავებულია 140 კაცამდე, მათ შორის, ნაწილი - მძიმედ.

სამედიცინო დაწესებულებებს სულ 160-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა, მაგრამ ზოგს მხოლოდ ამბულატორიული დახმარება გაეწია. დაახლოებით 33 ადამიანი გადაიყვანეს სამკურნალოდ ოსეთში, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი 9 კაცი საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თვითმფრინავით მოსკოვში გადაიყვანეს. ინგუშეთში დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა სისხლის ჩაბარების მსურველთა რიცხვი, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ამ მხრივ პრობლემებია.

ნაზრანის ტერაქტთან დაკავშირებით დაღუპულების ოჯახებსა და რუსეთის მთავრობას სამძიმარი გამოუცხადა ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც. მის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ტერორიზმს გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს. ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მან ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთში მომხდარ შემთხვევაზე.

ნაზრანში სასწრაფოდ ჩავიდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რაშიდ ნურგალიევი, რომელმაც განაცხადა, რომ ინგუშეთის მილიციაში არის პრობლემები. საჭიროა ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, აგრეთვე მიზანმიმართული და კონტრეტული დახმარება. ორშაბათსვე პრეზიდენტმა მედვედევმა გადააყენა ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რუსლან მეირიევი. გუშინ მისი მოვალეობების შემსრულებლად დაინიშნა პოლკოვნიკი ვიქტორ ჟირნოვი. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ინგუშეთში რუსეთის სხვა რეგიონებიდან მოვლენილი გამოცდილი კადრებით დროებითი ოპერატიული ჯგუფების შექმნას აპირებს, რომლებსაც ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობის გამოცდილება აქვთ. ნურგალიევმა განაცხადა, რომ ლაპარაკია იმ ხალხზე, "ვინც ყურმოკვრით არ იცის, თუ რა არის ტერორიზმთან ბრძოლა და იციან რა დანაშაულებრივ ფორმებს და მეთოდებს იყენებენ ტერორისტები. შეიძლება ითქვას, რომ გამართლდა ის ვარაუდი, რაც ჩვენმა გაზეთმა გუშინ ინგუშეთში დამატებით რუსების მივლინებასთან დაკავშირებით გამოთქვა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას არ იზიარებენ კავკასიის სიტუაციაში გარკვეული ადამიანის უფლებათა დამცველები. ცენტრ "მემორიალის" წარმომადგენელმა ალექსანდრ ჩერკასოვმა განაცხადა, რომ "დროებითი ოპერატიული თანამშრომლების" მივლინებამ ძალიან ცუდი შედეგი გამოიღო თავის დროზე ჩეჩნეთში. მისი თქმით, ცენტრალური აპარატიდან მოვლენილი კადრებით ასეთი დროებითი და პარალელური სტრუქტურების შექმნამ, რომლებიც არავის ემორჩილებიან, ვითარება შეიძლება კიდევ უფრო დაძაბოს. ჩეჩნეთში 2000 წელს ასეთ განყოფილებაში უკვალოდ გაქრა ათეობით თუ ასობით ადამიანი. მათთვის ყველა კავკასიელი ერთია, ადგილობრივებში ისინი მხოლოდ დამნაშავეებს ხედავენ. ჩამოსულები უფრო ხშირად არღვევენ კანონს, ვიდრე კავკასიელი მილიციელები და ფაქტობრივად, არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ.

იგივე ჩერკასოვმა განაცხადა, რომ ევკუროვმა საკუთარი მმართველობის რამდენიმე თვეში მეტნაკლებად მოახერხა სამართალდამცავების მუშაობის კოორდინირება, მაგრამ მისმა არყოფნამ თითქმის ორი თვის განმავლობაში სავალალო შედეგები გამოიღო. ინგუშეთში ძალიან ძნელია "ინგლისის დედოფლის" როლში ყოფნა. ასეთი როლის მორგება თავის დროზე ზიაზიკოვმა სცადა, რაც ძალიან ცუდად დამთავრდა. ევკუროვის არყოფნის პირობებში, რადგან ის პიროვნულად აკონტროლებდა ყველაფერს, ყველა სტრუქტურამ საკუთარ თავზე მუშაობა დაიწყო. სასაზღვრო რაიონებში და არა მხოლოდ იქ, საქმეში ჩეჩენი სამართალდამცავებიც ჩაერთნენ, სიტუაცია უფრო გართულდა და ეს 17 აგვისტოს ტერაქტმაც დაადასტურა.

გუშინ სიწყნარე არ ყოფილა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც. დაღესტანში, ქალაქ ყიზილიურტის ბაზართან ააფეთქეს ბომბი, საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის, დაშავდა ოთხი მილიციელი და ერთი სამოქალაქო პირი. ჩეჩნეთში ამოხოცეს ეთნიკური რუსების ოჯახის ხუთი წევრი, გადარჩნენ მხოლოდ პატარა ბავშვები: 3 წლის გოგონა და წლინახევრის ბიჭი. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა დაგმო ეს არაადამიანური საქციელი, ფულადი ჯილდო დააწესა დამნაშავეებზე ინფორმაციისთვის და განაცხადა, რომ თუ ბავშვებს ახლობლები არ დარჩათ, იგი მზად არის ისინი საკუთარ ოჯახში გაზარდოს. ჩეჩნეთის "ფე-ეს-ბეს" უფროსის ალექსანდრ სულიმოვის აზრით, ეს დანაშაული ბანდფორმირებების წევრებმა ჩაიდინეს და მათი მიზანი ჩეჩნეთში მდგომარეობის დესტაბილიზაცია და ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებაა.



CMYK - 5



# წიგნის ხანის დასასრული?

## დენ ბრაუნის ახალი ნაწარმოები ელექტრონულადაც გამოიცემა

როგორც ხდება ხოლმე, დენ ბრაუნის ახალ რომანს გამოსვლამდეც კი სკანდალი და საყოველთაო ინტერესი ახლავს. თუმცა ამჯერად არც ვატიკანი განრისხებულა და არც სხვა კონფესიის წარმომადგენლები - ბრაუნის სახელს ახლა ყველაზე ხშირად და თანაც საკმაოდ ცუდად წიგნის გამომცემლები ახსენებენ. მიზეზი კი ისაა, რომ 15 სექტემბერს მწერლის ბოლო წიგნი "დაკარგული სიმბოლო" ერთდროულად ბეჭდურად ანუ ჩვეულებრივი წიგნის სახითაც გამოიცემა და ელექტრონული ფორმითაც. ეს ფაქტი კი გამომცემლებს აფიქრებინებს, რომ ტრადიციული წიგნის კულტურის გაქრობა სწორედ ამ დღეს დაიწყება.




გამომცემლების შეშფოთებას ისიც ამყარებს, რომ ინტერნეტ მაღაზია amazon.com-ზე შემოსული ათიათასობით შეკვეთიდან, ნახევარი სწორედ წიგნის ელექტრონულ ვერსიაზე მოდის. საერთო შეკვეთების მხრივ კი ბრაუნის ჯერ არ გამოსული წიგნი მეოთხე ადგილზეა და ისეთ ბესტსელერსაც უსწრებს, როგორიცაა მიშელ მალკინის პოლიტიკურ-დოკუმენტური ნაწარმოები "კორუფციის კულტურა: ობამა და მისი საგადასახადო თაღლითების, მატყუარებისა და გაიძვერების გუნდი". "დაკარგულმა სიმბოლომ" ასევე უკან ჩამოიტოვა მსოფლიო თინეიჯერების საყვარელი ნაწარმოები, სტეფანი მაიერის წიგნი ვამპირებზე "ბინდი".

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც გამომცემლები ინტერნეტგამოცემების წინააღმდეგ გალაშქრებას სერიოზულად გეგმავენ ისაა, რომ ბევრი ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდა ავტორი, რომლებიც ძირითადად დეტექტივის ჟანრში მუშაობენ, ბეჭდვის სიძვირის გამო ნაწარმოების პირდაპირ ინტერნეტში განთავსებას ამჯობინებენ. ვინაიდან ამ ჟანრს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, მკითხველი ნელ-ნელა სულ უფრო ეჩვევა კომპიუტერის მონიტორზე კითხვას და მალე ალბათ წიგნის ფორმასაც დაივიწყებენ.

ეს საკითხი კი ნაკლებად ადარდებთ დენ ბრაუნის გამომცემლებს, რომლებიც პარალელურად აქტიურად აწარმოებენ წიგნის სარეკლამო ინტერნეტ კამპანიას. "ფეისბუქისა" და "თვითერის" სოციალური ქსელების წევრებს შეუძლიათ წიგნის ოფიციალური გვერდის წევრები გახდნენ და დღის განმავლობაში რამდენიმე თავსატეხისა და გამოცანის ამოხსნაში მიიღონ მონაწილეობა. რაც მეტ რუკას შეადგენთ, აფორიზმის მნიშვნელობას მიხვდებით ან დამალული ნივთის პოვნას შეძლებთ, მით მეტი შანსი მოგეცემათ ნაწარმოების ცალკეული თავების დაშიფრული ტექსტი ამოხსნათ.

"დაკარგული სიმბოლო" პროფესორ რობერტ ლენგდონის შესახებ დაწერილი მესამე წიგნია "ანგელოზები და დემონებისა" და "და ვინჩის კოდის" შემდეგ. თავდაპირველად წიგნის სახელწოდება "სოლომონის გასაღები" უნდა ყოფილიყო და ჯერ კიდევ 2006 წლის დეკემბერში უნდა გამოსულიყო, თუმცა გამომცემლებმა ავტორს რამდენიმე არგუმენტირებული შენიშვნა მისცეს, რის შემდეგაც ბრაუნი იძულებული გახდა პრაქტიკულად მთელი წიგნი თავიდან დაეწერა.

უკვე ცნობილია, რომ წიგნში მოქმედება მხოლოდ 12 საათის განმავლობაში მიმდინარეობს და ვაშინგტონში არსებულ მასონთა ლოჟის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე მოგვითხრობს. პროფესორი ლენგდონი განსაკუთრებულ სიმბოლურ ნივთს სახელად სოლომონის გასაღებს ეძებს. ვიდრე ბრაუნი წიგნზე მუშაობდა და მისი შინაარსი გახდებოდა ცნობილი, უცხოურ პრესაში არაერთხელ გამოჩნდა ინფორმაცია, რომ მწერალს ხშირად ხედავდნენ ვაშინგტონის მასონთა ტაძრებში. სწორედ მაშინ გაჩნდა პირველი ეჭვი ახალი ნაწარმოების სიუჟეტის შესახებ.

ჯერ წიგნი გამოსულიც არაა, მაგრამ კინოსტუდია Columbia Pictures-მა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა მის მიხედვით ფილმის გადაღების შესახებ. ეს გასაკვირი არც ყოფილა, რადგან ჯერ კიდევ "და ვინჩის კოდის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ითქვა, რომ მაყურებელი ტრილოგიას მიიღებდა. ახლა უკვე სიუჟეტიც არსებობს, ასე რომ, ახალ ეკრანიზაციას წინ არაფერი უდგას. წინასწარვე შეიძლება იმის თქმაც, რომ რობერტ ლენგდონის როლში კვლავ ტომ ჰენკსს ვიხილავთ, ხოლო რეჟისორის სავარძელში რონ ჰოვარდს. სწორედ ეს რეჟისორი გახლავთ 2006 წელს გამოსული "და ვინჩის კოდისა" და წლევანდელი "ანგელოზები და დემონების" ავტორი. აქვე შეგახსენებთ, რომ "და ვინჩის კოდის" გამოსვლას მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა - ეკლესიამ მასში განვითარებული მოვლენები ანტირელიგიურად მიიჩნია. მსგავს სკანდალს ელოდნენ "ანგელოზები და დემონების" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგაც, თუმცა მოხდა სრულიად საპირისპირო - ვატიკანმა და დანარჩენმა ქრისტიანულმა ეკლესიებმა ფილმს მწვანე შუქი აუნთეს.

# სალიერი ინფექციამ ჩაანაცვლა

## მეცნიერებმა მოცარტის გარდაცვალების კიდევ ერთი ვერსია გამოაქვეყნეს



ყველას გვინახავს მილოშ ფორმანის "ამადეუსი" და მათაც, ვისაც მოცარტი კრემიანი ნამცხვარი ჰგონია, ის მაინც იციან, რომ მის სიკვდილში ხელი სალიერის ურევია. ახლა კი გაირკვა, რომ შესაძლოა დიდი კომპოზიტორი კოლეგის ხელშეწყობით კი არა, ბუნებრივი სიკვდილით, უფრო სწორად კონკრეტული დაავადებით მიიცვალა. სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ ჰოლანდიელი მეცნიერები, რომლებიც წლების განმავლობაში მოცარტის სიკვდილის მიზეზს იკვლევენ.

სწორედ მათი კვლევების შედეგად დგინდება, რომ კომპოზიტორი ჩვეულებრივმა ბაქტერიულმა ინფექციამ იმსხვერპლა, რაც იმ დროინდელი ევროპისთვის ძალიან ჩვეულებრივი ამბავი იყო. ინფექცია განსაკუთრებით 1791 წელს, მოცარტის გარდაცვალებისას მძვინვარებდა, რადგან სწორედ მაშინ ავსტრიელი ჯარისკაცები თურქეთიდან მორიგი ბრძოლის შემდეგ დაბრუნდნენ და თან ათასგვარი დაავადება ჩამოიტანეს. მეცნიერებმა კარგად შეისწავლეს იმ პერიოდის ვენის მოსახლეობის სიკვდილიანობის სტატისტიკა და დაადგინეს, რომ ყველაზე ხშირად საშუალოდ 30 წლის მამაკაცები იღუპებოდნენ, გარდაცვალებამდე კი ტუბერკულოზის მსგავსი დაავადებებით, წონის სწრაფი დაკარგვითა და სხეულის გაუწყლოვანებით იტანჯებოდნენ.

როგორც მოცარტის ავადმყოფობის ისტორიიდანაა ცნობილი, მას სხეულზე მრავლობითი სისხლჩაქცევები ჰქონდა და ტკივილებისგან ლოგინში გადაბრუნებაც არ შეეძლო. "ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცარტს სტრეპტოკოკული ინფექცია ჰქონდა, რომელმაც მე-18 საუკუნის მიწურულს ევროპაში, განსაკუთრებით კი ვენაში, ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ჩვენი აზრით, დაავადებამ ვენის სამხედრო ჰოსპიტალში იფეთქა და ნელ-ნელა მთელ ქალაქს მოედო. ვინაიდან მაშინდელ დიდ ქალაქებში საშინელი ანტისანიტარია სუფევდა, მსგავსი ვირუსების გავრცელებას არაფერი უშლიდა ხელს. ასე რომ არ არის გამორიცხული, დიდი მუსიკოსიც ამ სენის მსხვერპლი გამხდარიყო", - აღნიშნავს ამსტერდამის მედიცინის აკადემიის ცენტრის მთავარი მკვლევარი რიჩარდ ზაგერსი.

მოცარტის გარდაცვალების ვერსიებზე ექიმები და მისი ბიოგრაფები კომპოზიტორის გარდაცვალების დღიდანვე მუშაობენ. მართალია, თანამედროვე სამედიცინო ექსპერტიზის აპარატურას შეუძლია სიკვდილის ნებისმიერი მიზეზის დადგენა, საქმეს ის ართულებს, რომ უცნობია მოცარტის საფლავი. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ იგი ვენის წმინდა მარკის სახელობის ღატაკთა სასაფლაოზე საერთო საფლავში დაკრძალეს. როგორც ოფიციალური ვერსია იუწყება, 35 წლის კომპოზიტორი თირკმელში განვითარებულმა ინფექციამ იმსხვერპლა, თუმცა მეორე, უფრო ცნობილი და სკანდალური ვერსია მის სიკვდილში კომპოზიტორ ანტონიო სალიერის ადანაშაულებს. ამ ვერსიას მოგვიანებით არა ერთი მხატვრული გაგრძელება გამოუჩნდა: პუშკინის "მოცარტი და სალიერი", პიტერ შეფერის პიესა "ამადეუსი" (რომელიც მოგვიანებით მილოშ ფორმანის ფილმს დაედო საფუძვლად) და სხვა.

რამდენიმე დღის წინ მოცარტი მუსიკალურ კონტექსტშიც გაიხსენეს - ზალცბურგში მისი აქამდე უცნობი ნაწარმოებები შეასრულეს. მოცარტის საერთაშორისო ფონდის საცავში ორი საფორტეპიანო ნაწარმოების ავტორის რეალური ვინაობა მხოლოდ რამდენიმე თვის წინ დაადგინეს. აქამდე მიიჩნეოდა, რომ ისინი მოცარტის რომელიმე მოსწავლემ ან მიმდევარმა შექმნა, თუმცა მრავალი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ნაწარმოებები სინამდვილეში მოცარტისაა, რომლებიც კომპოზიტორმა სავარაუდოდ 7-8 წლის ასაკში შექმნა. ვინაიდან ბიჭუნა ჯერ კიდევ არ ფლობდა სანოტო დამწერლობას, ეს ნაწარმოებები ფურცელზე მამამისმა გადაიტანა. აზრთა სხვადასხვაობას სწორედ ეს გარემოება იწვევდა - ვერ ხერხდებოდა ჩანაწერის მოცარტის კალიგრაფიასთან იდენტიფიცირება. ორივე საფორტეპიანო ნაწარმოები მოცარტის სახლ-მუზეუმის ექსპონატზე, კომპოზიტორის კუთვნილ პიანინოზე შეასრულეს, რამაც მათ განსაკუთრებული ჟღერადობა შესძინა.

CMYK - 5

## საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

საქართველოს რაგბის კავშირი სამსაჯო სემინარებსა და სტაჟირებებზე იწვევს 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს.

სემინარებსა და სტაჟირებებში მონაწილეობა შესაძლებელია შესაბამისი გასაუბრების შემდეგ. შერჩეული კანდიდატები სამსაჯო საქმეს დაეუფლებიან რაგბის კავშირთან არსებულ სასწავლო ცენტრში.

თეორიული კურსის დასრულებისა და სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ, წარმატებული კანდიდატები გაიგზავნებიან საზღვარგარეთ სტაჟირებებზე, გახდებიან საქართველოს რაგბის კავშირის მსაჯთა კორპუსის წევრები, უზრუნველყოფილი იქნებიან ეკიპირებითა და შესაბამისი ანაზღაურების / ჰონორარის საფუძველზე, იმსაჯებენ ჭაბუკთა და კაცთა პირველობების მატჩებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

*დავით შუბითიძე 895-24 49 49*
*მალხაზ კოროშინაძე 895-22 94 81*

## უეფა ˝წლის ფეხბურთელებს˝ გამოავლენს

ტრადიციისამებრ, უეფამ “წლის ფეხბურთელის" პრეტენდენტთა ვინაობა გაახმოვანა. ეს პრიზი, სეზონის შედეგების მიხედვით, თითოეულ ამპლუაში ევროპის მასშტაბით გამორჩეულ მოთამაშეს გადაეცემა.

რჩეულთა სამეულები 2008-2009 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში მოხვედრილი 16 გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა დაასახელეს.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს და ასევე უეფას ვერსიით “წლის ფეხბურთელს" (მოთამაშე, რომელმაც ხმების მაქსიმუმს მიიღებს) 27 აგვისტოს მონტე-კარლოში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის კენჭისყრის დროს დაასახელებენ.

ნომინანტთა სრული ჩამონათვალი კი ასეთია (ფრჩხილებში მითითებულია ის კლუბები, რომლებშიც ფეხბურთელები 2008-2009 წლების სეზონში გამოდიოდნენ):

**მეკარეები:** პეტერ ჩეხი (“ჩელსი"), ვიქტორ ვალდესი (“ბარსელონა"), ედვინ ვან დერ სარი (“მანჩესტერ იუნაიტედი");

**მცველები:** ხერარდ პიკე (“ბარსელონა"), ჯონ ტერი (“ჩელსი"), ნემანია ვიდიჩი (“მანჩესტერ იუნაიტედი");

**ნახევარმცველები:** სტივენ ჯერარდი (“ლივერპული"), ხავი, ანდრეს ინიესტა (ორივე “ბარსელონა");

**თავდამსხმელები:** სამუელ ეტო`ო, ლიონელ მესი (ორივე “ბარსელონა"), კრიშტიანუ რონალდუ (“მანჩესტერ იუნაიტედი").

## სერია A-ს ˝იუვენტუსი˝ მოიგებს

იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის მოსაზრებით, მომავალ სეზონში სერია A-ს “იუვენტუსი" მოიგებს.

ლიპი მიიჩნევს, რომ “მილანისა" და “იუვენტუსის" ხელმძღვანელობებმა გარკვეულწილად გარისკეს, როდესაც ეს გუნდები ახალგაზრდა სპეციალისტებს, შესაბამისად, ბრაზილიელ ლეონარდოსა და იტალიელ ჩირო ფერარას ჩააბარეს.

“მწვრთნელს ასაკი არა აქვს. ის ინტელექტს, ინდივიდუალურობასა და ქარიზმას უნდა ფლობდეს და კომპეტენტური იყოს. ამ თვისებებით შეიძლება 40 წლის ასაკშიც გამოირჩეოდეს ადამიანი, ან პირიქით, 65 წლის ასაკშიც არ გააჩნდეს", - ამბობს იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

## მილანელი ბრაზილიელი ˝სკუადრა აძურაზე˝ ოცნებობს

მილანის “ინტერის" ბრაზილიელ ახალბედას ტიაგო მოტას სამხრეთ აფრიკის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში სურს. მოედანზე გასვლა კი, ბრაზილიის ნაცვლად, “სკუადრა აძურას” რიგებში განუზრახავს.

“იტალიის ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა და ამას არც ვმალავ. მარჩელო ლიპის გუნდში რომ მიმიწვიონ, წამით არ დავფიქრდები. ჩემს ძარღვებში იტალიური სისხლი ჩქეფს და თავს იტალიელად ვთვლი. უბრალოდ, მინდა, რომ ნაკრების დაკომპლექტებისას ჩემი კანდიდატურაც განიხილონ. ბრაზილიის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში ვთამაშობდი, მაგრამ არა მგონია, ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში მოვხვდე. ამასთან, იტალიის პასპორტი მანამდე მქონდა, ვიდრე აპენინებზე ჩამოვიდოდი. თუმცა, არაფერს ვითხოვ. მინდა “სკუადრა აძურაში" საკუთარი შრომით მოვიპოვო ადგილი", - ამბობს იტალიის ნაკრებზე მეოცნებე ტიაგო მოტა.

# მიზანი და პერსპექტივები

## ქართველი კალათბურთელები A დივიზიონში გადასასვლელად ემზადებიან

ათი წელი იქნება, რაც კალათბურთის ქართველ ქომაგს თბილისში არ უნახავს ელიტური გუნდების თამაში. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა ორჯერ სცადა ელიტას შეწვდომოდა, მაგრამ, მაკედონიისა და ფინეთის გადამკიდეს, ორჯერვე ხელი მოეცარა. უფრო ადრე კი ბულგარეთმა შეუზღუდა A კლასისკენ მიმავალი გზა.

ათი წლის თავზე ქართველ ქომაგებს იმედი მოგვეცა. ამ იმედს თავისი საფუძველი აქვს. კერძოდ, ქართულ კალათბურთში მთელი თაობა წამოვიდა და გაიზარდა. დღეს ჩვენი ქვეყნის ნაკრების გუნდის მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის განკარგულებაში ათამდე სრულფასოვანი კალათბურთელია, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ ღირსეულად შეცვალონ ერთმანეთი და გუნდს გამარჯვება მოაპოვებინონ. ცინცაძე, ელისი, სანიკიძე, მარკოიშვილი, ბოისა, ცქიტიშვილი, შერმადინი, ფაჩულია - ეს ის კალათბურთელები არიან, ვინც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ. ბევრი მათგანი ასაკობრივადაც ჩამოყალიბებული და გამოცდილია. ასე რომ, ამჯერად მაინც აღარ უნდა დაგვიცდეს ფეხი.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო
*მანუჩარ მარკოიშვილი გადამწყვეტ მატჩებში დაგვეხმარება*

| 40 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის (იმერეთის რეგიონი) ქ. სამტრედიის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია---- RMIDP/SAMTREDIA/CW/NCB/38-2009 | შპს „წყალკანალრემმშენი" | 825,077.92 |

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**

**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 19 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს დისპეჩერული კონტროლის მოწყობილობების შესყიდვის და არსებულ პროგრამასთან ინტეგრაცია-სინქრონიზაციის უზრუნველყოფის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **დისპეჩერული კონტროლის მოწყობილობების შესყიდვის და არსებულ პროგრამასთან ინტეგრაცია-სინქრონიზაციის უზრუნველყოფის** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

**სატენდერო დოკუმენტაცია** და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **19 აგვისტოდან** 2009 წლის **9 სექტემბრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი |
|---|---|
| | |
| 1 | დისპეჩერული კონტროლის მოწყობილობები (შესყიდვა-მონტაჟი) GPS/GPRS Tracker - 241 ც, RFID Reader - 200 ც, RFID Tag – 3 000 ც არსებულ პროგრამასთან ინტეგრაცია-სინქრონიზაციის უზრუნველყოფა |

**3. მომსახურების გაწევის ადგილი:** საქართველოს მაშტაბით შემყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

**4. მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან;

**ფიზიკური პირებისათვის :**

**1.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

***როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:***

1. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდველისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, მოძრავ ერთეულებზე განლაგებული მოწყობილობების შემდგომი ინსტალაციისათვის და მოვლა-შენახვის მიზნით;
2. მოწყობილობებზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია - არანაკლებ 2 წელი;
3. საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში დაზიანების ან/და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეკეთება (შეცვლა) უნდა განხორციელდეს შესაბამისი შეტყობინებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში;
4. ყველა პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მსგავსი პროექტების დანერგვის გამოცდილება, რაზედაც უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები;

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

5. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. და სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

6. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

7. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 19 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონის ლუმინესცენტური ნათების დროსელების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **სამგზავრო ვაგონის ლუმინესცენტური ნათების დროსელების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **19 აგვისტოდან** 2009 წლის **9 სექტემბრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | სამგზავრო ვაგონის ლუმინესცენტური ნათების ელექტრონული დროსელი სიხშირე fn – 36 კჰც; შემავალი ძაბვა -მუდმივი დენი 110 ვოლტი; სიმძლავრე 20 ვატი; | ცალი | 400 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** 2009 წლის III-IV კვ.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

**1.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

## საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადება მოთხოვნა დაინტერესების გამოსახატავად

**საქართველო**

მესამე აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი

(საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 თბილისი-სენაკი-ლესელიძე ავტომაგისტრალის (კმ80-კმ95) სვენეთი-რუისის მონაკვეთის გაუმჯობესების და რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციის (კმ143) საზედამხედველო სამუშაოები)

საკონსულტაციო მომსახურება

კონტრაქტი: **TEWHIP/CS/QCBS/-01**

საქართველომ მიმართა მსოფლიო ბანკს E-60 ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მიზნით ხარჯების დასაფარი კრედიტის გამოსაყოფად და მას განზრახული აქვს გამოიყენოს გამოყოფილი კრედიტის ნაწილი აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ფაზა 3-ის ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესასყიდად, რომელიც დაფინანსდება საქართველოს მთავრობასთან ერთობლივად.

საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრის დახმარებით იწვევს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე საკონსულტაციო კომპანიებს გამოხატონ თავიანთი დაინტერესება აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში თბილისი-სენაკი-ლესელიძე ავტომაგისტრალის კმ80-კმ95 მონაკვეთის გაუმჯობესების და რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციის საზედამხედველო სამუშაოების მომსახურების გასაწევად. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ზედამხედველობისათვის საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია და შესრულებული პროექტები, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა შრომითი ბიოგრაფიები (ჩV), რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნული დეტალური პროექტირების განხორციელებაში და გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება. კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. ინტერესის გამოხატვა მოიცავს შემდეგს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება: პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების სათანადო გამოცდილება, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია და რესურსი, კორპორატიული პროფილი.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს "მსოფლიო ბანკის სესხის ამღებების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება, ხარისხისა და ფასის მიხედვით კონსულტანტების შერჩევის" მიხედვით." (2004 წლის მაისის გამოცემა, განახლებული 2006) განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე.

დაინტერესების გამოხატვის შესახებ ინფორმაცია (ელექტრონული ან ბეჭდური) უნდა მიწოდებულ იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2009 წლის 31 აგვისტოს 17:00 საათამდე.

საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

მისამართი: 12, ა. ყაზბეგის გამზ. თბილისი, საქართველო, 0160

საკონტაქტო პირი, თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ლითანიშვილი

ტელ: +995-32-370-508

ფაქსი: +995-32-313-034

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ.გვერდი: www.georoad.ge

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Request for Expression of Interest

GEORGIA

Supervision of construction works for Sveneti-Ruisi section (km 80-km 95) and supervision of rehabilitation of Rikoti tunnel (km 143) of E-60 Highway

Third East West Highway Improvement Project

Credit N:7741 -GE

Georgia has applied for financing from the World Bank towards the costs of the Third East West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: "Supervision of construction works for Sveneti-Ruisi section (km80-km95) of E-60 Highway" and supervision of rehabilitation of Rikoti tunnel. Interested companies shall provide information demonstrating that they are experienced enough to perform supervision of construction works and CVs of the personnel, who will supposedly be involved in supervision process and have relevant qualification and experience. Consultants may form sub-consultancy to enhance their qualifications. Expression of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

A consultant will be selected in accordance with the procedures set out in "Quality and Cost-based Selection" section II of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 17:00 hours. Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than 31 August, 2009, 17:00 hours.

Name: Irakli Litanishvili
Address: 0160,Al. Kazbegi Avenue N12, Tbilisi, Georgia
Tel: +995-32-37-05-08 ext. 215
Fax: +995-32-313-034
Email: roaddepirakli@yahoo.com copy to: info@georoad.ge
Web.Site: www.georoad.ge

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს მიმდინარე და კაპიტალური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, **მიუთითეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მtავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი** და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4 მე-2 სართული, ოთახი 202, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. **შესყიდვის ობიექტის - მიმდინარე და კაპიტალური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების ადგილი და ვადები**

**ლოტი 1** - ქ. თბილისი, ზღის მიმდებარე ტერიტორიაზე - საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაზე სასადილოს მიშენების კაპიტალური სამუსაოები. ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღეში.

**ლოტი 2** - ქ. თბილისი, ზღის მიმდებარე ტერიტორიაზე - საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზის მიმდინარე რემონტი. ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში.

**ლოტი 3 -** ქ. თბილისი, ზღის მიმდებარე ტერიტორიაზე - საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის გარე საკანალიზაციო ჭის კაპიტალური სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში.

**ლოტი 4 -** ქ. თბილისი, შავნაბადა - სპეცოპერაციების ცენტრის საქვაბის მიმდინარე რემონტი. ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში.

**ლოტი 5 -** გარდაბნის რაიონი - იალღუჯის მთაზე - სამრეცხაოს სახურავის მიმდინარე რემონტი. ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღეში.

**ლოტი 6 -** ქ. თბილისი, შავნაბადა - სასროლეთის სახლის მიმდინარე რემონტი. ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღეში.

**ლოტი 7 -** ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 - გდმს სასაწყობო მეურნეობის სურსათის საწყობის მიმდინარე რემონტი. ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში.

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, **2009 წლის 19 აგვისტოდან იმავე წლის 08 სექტემბრის 11.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მtავარი სამმართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოtახი 202. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატანდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **08 სექტემბრის 11.00 საათიდან 13.00 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა - სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

**4.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა - სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

5. წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. პრეტენდენტები ვერ გივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**10. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

11. ინფორმაცია სამუშაოს შესრულებაში მონაწილე მუშა-მოსამსახურების შესახებ - არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

12. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. **ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.**

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა გოგილავა ტელ.: 41-21-48; 899 21-49-59. მიხეილ ბენაშვილი 877 53-81-82

**სატენდერო კომისია**

------------------1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს 2009 წლის განმავლობაში ქართულ ტელესივრცეში, არანაკლებ სამ სატელევიზიო არხზე რეკლამის განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია რეკლამის განთავსება ქართულ ტელესივრცეში, არანაკლებ სამ სატელევიზიო არხზე.

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2.** მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2009 წლის 15 სექტემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 19 აგვისტოდან ამავე წლის 8 სექტემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, 2009 წლის განმავლობაში ქართულ ტელესივრცეში, არანაკლებ სამ სატელევიზიო არხზე რეკლამის განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 8 სექტემბრის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი (მის. ქ. თბილისი, პეკინის ქ. №4), ***ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ზეგავლენის შეფასების პროექტის ფარგლებში*** აცხადებს ტენდერს კერამიკის ჭიქების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

– 5900 ცალი კერამიკის ჭიქა ლამბაქით, ინდივიდუალური შეფუთვით.
– ფერი – თეთრი;
– ტევადობა – დაახლოებით 330 მ.ლიტ;
– ჭიქაზე დატანილი უნდა იყოს ლოგო და წარწერა;
– ბეჭდვა უნდა განხორციელდეს 4 ფერში (შავი, ლურჯი,წითელი, ოქროსფერი).

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღე.

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №4.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის განბაჟება და გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 8 სექტემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300773174, გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №4, მე-4 სართული, ოთახი №416; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 სექტემბრის 16 საათამდე, განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2 ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადები არ მიიღება.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში მონაწილების მსურველ პირებს ***სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე***, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №4, მე-4 სართული, ოთახი №416; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 5%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით

14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას ***არ ექვემდებარება***.

15. სატენდერო წინადადებების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით:

| № | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხი | 0.4 |
| 2 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 0.3 |
| 3 | საქონლის მოწოდების ვადები | 0.2 |
| 4 | ანგარიშსწორების პირობები | 0.1 |
| | სულ: | 1.0 |

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: რუსუდან კაპანაძე. ტელ: (822) 36 72 16 (907); 895 25 70 40; 891 22 82 39; შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №4, მე-4 სართული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი.

სატენდერო კომისია

## განცხადება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაგა-ბაღების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141) აცხადებს ტენდერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაგა-ბაღების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვა განხორციელდება ერთ ლოტად.

1. შესყიდვის ობიექტი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაგა-ბაღების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ:

*ქ. ქობულეთში 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია;*

*ქ. ქობულეთში 4 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია;*

*სოფელ ციხისძირში საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია.*

2. სამუშაოების მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე;

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*3.1. იურიდიული პირებისათვის:*

*ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;*

*ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);*

*გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან);*

*დ) ცნობა შსს-ს საინფო რმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;*

*ე) ორგანიზაციის მოგებისა და ქონების გადასახადების დეკლარაციები ბოლო ორი წლის 2007-2008 წ.წ.*

*3.2. ფიზიკური პირებისათვის:*

*ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ;*

*ბ) ცნობა შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;*

*გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი სასამართლოდან).*

*3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი(ები)სათვის:*

*ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;*

*ბ) ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;*

*გ) ცნობა მომსახურე ბანკთან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარასებობის შესახებ;*

*დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ აუდიტორული დასკვნით;*

*ე) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითება, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);*

*ვ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ.შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;*

*სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ასახული უნდა იყოს:*

*ვ.ა. სამშენებლო და სხვა მასალების ხარჯები რაოდენობრივ და თანხობრივ გამოსახულებაში;*

*ვ.ბ. შრომის ანაზღარებისა და ტრანსპორტირების ხარჯები;*

*ვ.გ. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;*

*ვ.დ. დარიცხვები, პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნადები ხარჯები, მოგების პროცენტი და დღგ);*

*ზ) ინფორმაცია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი);*

*თ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;*

*ი) პრეტენდენტი პრების რეკვიზიტები (სახელწოდება, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ასევე შესაბამისი უფლებამოსილი პირის - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელექტრონული ფოსტა - e-mail).*

*შენიშვნა: ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს, ბოლო ორი წლის განმავლობაში (2007-2008 წ.წ.) შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები არანაკლები 2.000.000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობის. ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტის, ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების დართვით. ამასთანავე, პრეტენდენტმა უნდა დაურთოს თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება, რომ შემსრულებელმა ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.*

*ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, მომსახურების გასაწევად, სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით.*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.*

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, თუ იგი მითითებულ ვადებში არ წარმოადგენს განცხადებით და საბაზისო მონაცემთა ნუსხით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ 3 (სამი) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ქსერო-ასლი, დამოწმებული ნოტარიულად) სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 9 სექტემბრის 15:00 საათამდე მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141, მესამე სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებაში. სატენდერო წინადადებ(ებ)ის გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, სატენდერო წინადადების მიღების დასრულებისთანავე, 2009 წლის 9 სექტემბერს, 15:00 საათზე ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 8 სექტემბრის 18 საათამდე სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის 141, მე-3 სართული ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს სატენდერო დოკუმენტის მიღების ვადის გასვლამდე შემდეგ ანგარიშზე: მიმღების დასახელება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ს/კ 247001890) მიმღები ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: 220101502; ანგარიში: 181589000. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირს ზემოთაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული ზინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

9. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი, ასევე არ გამოიყენება სატენდერო წინადადებების შეფასების ალტერნატიული მეთოდი.

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

12. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნულის შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო წინადადებაში.

13. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

14. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე. ტელ: (88236) 6-69-16; მობ: 897-80-00-77 - დავით ნოღაიდელი.

სატენდერო კომისია

## სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 5 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ "ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების დაზიანებული თუნუქის სახურავების შეკეთების III ეტაპის სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადებაში მე-8 მუხლის 8.3. პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების ჯეროვნად და ხარისხიანად შესრულების თობაზე.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80